მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ქ. თბილისი 26 თებერვალი 2019 წელი

მე, შპს „ორთაჭალა 2016“-ის (ს/ნ 404517359) დირექტორი - გიორგი ჯაღიაშვილი (დაბ. 02.05.1974წ. თბილისში, პირადი #01030031016, მისამართი: **თბილისი, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა, N 21**), რომელიც მოქმედებს იბა „ორთაჭალა 2012“-ის ს/კ204536467 სახელით თანახმად საკუთრების მინდობის გენერალური ხელშეკრულებისა დამოწმ. ნოტარიუს ქეთევან ძლიერიშვილის მიერ 05.08.2016წ. რ#160872817, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **რევაზ ებრალიძეს** (დაბ. 13.04.1983წ. თბილისში, მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ციცაძის II შესახვევი, N5,** პირადი #01019015988), იყოს ჩემი წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში და განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება ქ. თბილისში, გიორგი ნიკოლაძის ქუჩა #15-ში მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული პროექტის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის ასაღებად.
მინდობილი პირი უფლებამოსილია ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს ყველა ის მოქმედება/ფორმალობა და კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, რაც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის სრულ გაუქმებამდე.

შპს „ორთაჭალა 2016“-ის (ს/ნ 404517359) დირექტორი -

გიორგი ჯაღიაშვილი ----------

საქართველო

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაექვს თებერვალს მე, ნოტარიუსს დიანა სვანაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებელის გამზ. #109, მომმართა გიორგი ჯაღიაშვილმა. მან წარმოადგინა სამ ეგზემპლარად შედგენილი მინდობილობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გიორგი ჯაღიაშვილი (დაბ. 02.05.1974წ. თბილისში, პირადი #01030031016, მისამართი: თბილისი, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა, N 21) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე ვამოწმებ ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებსა და შინაარსზე. მან განაცხადა, რომ დოკუმენტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ. მინდობილობის სამი ეგზემპლარის სამ გვერდზე შესრულებულია სულ სამი ხელმოწერა.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური სამი ეგზემპლარის და სამი ხელმოწერისათვის: 6,00 (ექვსი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: 9.08 ლარი.

ნოტარიუსი: ---------- / დიანა სვანაძე /

საქართველო. ნოტარიუსი დიანა სვანაძე. GEORGIA. NOTARY DIANA SVANADZE
ნოტარიუსი დიანა სვანაძე * 61001049021 *

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190207413
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.02.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დიანა სვანაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 95 77 45
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42923799916419



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18